პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 14 თებერვალი 1926 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

№ 34 (1029) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## მომავალი თათბირების გამო.

ამ მახლობელ დღეებში ჩვენი დივიზიების მასშტაბით ჩატარდება სამხკორთა და კედლის გაზეთების მომუშავეთა თათბირები, რომელზედაც ჯამი უნდა გაუკეთდეს გატარებულ მუშაობას, აღინიშნოს წარსული შეცდომები და გამომუშავდეს მომავალი მუშაობის გეგმები.

უკვე ერთი წელი სრულდება, მას შემდეგ, რაც მოხდა სამხკორების სადივიზიო თათბირი. ამ ხნის განმავლობაში სამხკორთა და კედლის გაზეთების მუშაობამ მიიღო სწორი სახე, გაიზარდა სამხკორთა ქსელი, საგრძნობლად იმატა მომზადებულ და გათვითცნობიერებულ სამხკორთა რიცხვმა და სხვა.

ამ თათბირებზე ჩვენ აღარ მოგვიწევს შევჩერდეთ დიდხანს იმ შეცდომებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ მუშაობაში, როგორიც იყო: სამხკორთა არჩევა ან დანიშვნა, დევნა, ცენზურა და სხვა.

ჩვენი უმთავრესი ყურადღება ამ ჟამად მიქცეულ იქნება იმისაკენ, რომ აღვზარდოთ პოლიტიკურად და კულტურულად თითეული სამხკორი, განუმარტოთ მას, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღოს მან ნაწილის საერთო საქმიანობაში, მეთაურის ავტორიტეტის ამაღლებაში, დისციპლინის განმტკიცებასა და ნაწილის ბრძოლის უნარიანობის ამაღლების საქმეში.

გარდა ამისა ამ თათბირებზე ჩვენი უმთავრესი ყურადღება მიექცევა კედლის გაზეთების გამოცემის საქმესაც, რომ მომავალში ამ დარგის მუშაობაც დადგეს თავის სიმაღლეზე და მივცეთ მას სწორი მიმართულება, მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავებისათვის.

თათბირების გატარების დრო უკვე ახლოვდება. მარტის პირველი რიცხვებიდან დაიწყება ეს მუშაობა, რომლის შემდეგ ჩვენი ნაწილების სამხკორებს მოუწევთ, მიიღონ აქტიური მონაწილეობა კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სამხკორთა თათბირზე, რომლის მოწვევა განზრახულია 20 მარტისათვის.

ჩვენი მოვალეობა იქნება ამ თათბირებს შევხვდეთ მომზადებულად. საამისო მუშაობა აქედანვე უნდა დაიწყოს ჩვენს ნაწილებში. ნაწილების სამხკორ - ორგანიზატორებმა და პარტ-ორგანიზაციებმა უნდა მისცენ დირექტივები სამხკორთა წრეებს და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს, რომ ამის შესახებ დასვან საკითხები თავიანთ კრებებზე, დაწვრილებით გაარჩიონ მუშაობის პროცესში მიღებული გამოცდილების თანახმად ყველა ის მტკივნეული მხარეები, რომლებიც მოითხოვენ გამოსწორებას და დიდ ყურადღების მიქცევას მომავალში.

მაშ, თითეული სამხკორის და კედლის გაზეთის მომუშავის მთელი ყურადღება ამ საკითხისაკენ, რომ ამით ნაყოფიერი გავხადოთ თათბირების ჩატარება.

## გლეხინტერნის დეპეშა რადიჩისადმი

გლეხინტერნის პრეზიდიუმმა გაუგზავნა სამხრეთ-სლავიის მთავრობის წევრს—რადიჩს შემდეგი დეპეშა:

„სასტიკი დევნა, რომელსაც აწარმოებდა პაშიჩის მთავრობა, კვლავ გრძელდება და თითქმის ძლიერდება კიდეც იმ მთავრობის მიერ, რომლის წევრიც თქვენ ხართ.

ის, რის წინააღმდეგ თქვენ იბრძოდით წინად—მასიური [illegible] ციმრება მუშათა და გლეხთა ბელადების, პატიმართა ცემა, პრესის დევნა და სხვა—ყოველივე ეს საფუძვლად უდევს თი[illegible] მთავრობას. გლეხთა ინტერნაციონალი პროტესტს [illegible]ებს სამხრეთ-სლავიის მთავრობის ასეთ პოლიტიკის წინა[illegible]დეგ და დარწმუნებულია, რომ ყველა ქვეყნების გლეხის [illegible], პირველ რიგში, ხორვატიის, ხმას აღიმაღლებს მა[illegible]ვისუფლებისათვის საუკეთესო მებრძოლთა დასაცავად“.

## საფრანგეთი და პოლონეთი

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, [illegible] საფრანგეთი არ გამოვა წინადადებით, რათა პოლონეთს [illegible] მუდმივი ადგილი ერთა ლიგის საბჭოში, მაგრამ ამასთან, რომ „არ დასტოვებს თავის მოკავშირეებს ძნელ მდგომარეობაში“, თუ რომ ასეთ წინადადებას შემოიტანს სხვა [illegible]ერი.

# ახალი რადიო ამბები

## უნგრელ ყალბი ფულის მოხელეთა საქმე.

უნგრეთის მთავრობის საგამომძიებლო კომისია შეუდგა ყალბი ფულების დამზადების საქმეში მთავარ ბრალდებულთა დაკითხვას.

საფრანგეთის პოლიციის აგენტები სცდილობენ აღმოაჩინონ კავშირი ყალბი ფულის მოხელეთა და გერმანელ ფაშისტებს შორის.

## ინგლისის გაზეთები ერთა ლიგის საბჭოს მომავალ შემადგენლობის შესახებ

ერთა ლიგის საბჭოს სხდომები დაიწყება 8 მარტიდან.

ინგლისის პრესაში დიდი გაცხოველებული მსჯელობაა ერთა ლიგის მომავალი შემადგენლობის შესახებ.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ გერმანიას გარდა არიან კიდევ სხვა ერები, რომლებიც იმავე უფლებით მოითხოვენ მუდმივ ადგილს ერთა ლიგის საბჭოში.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ მთავრობა ყოველმხრივ გაარჩევს საკითხს წინასწარ, სანამ დარიგებას მისცემდეს თავის წარმომადგენლებს ლიგის მარტის სესიისთვის, თუ როგორი ხაზი უნდა აიღონ სხვა და სხვა საკითხებში.

## ინგლისი აძლიერებს თავის ძალებს ირაქში.

ირაქის ჩრდილოეთ საზღვარზე მოთავსებულია ინგლისის ჯარები 25.000 კაცამდი.

უკანასკნელ დროს ირაქში გაგზავნილ იქნა ტანკებისა და ჰაეროპლანების დიდძალი რაოდენობა.

## „კომუნისტურ პროკლამაციების ბეჭდვისთვის“

ჩინეთის ხელისუფალთა განკარგულებით დახურულ იქნა გაზეთ „ეხო“-ს სტამბა ვითომდა კომუნისტურ პროკლამაციების ბეჭდვისთვის.

გაზეთი გადავიდა სხვა სტამბაში.

## მსოფლიო ომის მსხვერპლთა რაოდენობა გერმანიაში.

უკანასკნელ ცნობების მიხედვით ომის განმავლობაში გერმანიაში მოკლულ იქნა 2.040.000 კაცი. იმავ დროს დაჭრილთა რიცხვი უდრის 4.250.000-ს. დაჭრილთა რიცხვში 1.163 ქალია.

## პოლონეთში ძლიერდება გაფიცვები.

პოლონეთში თანდათან ფართოვდება გაფიცვები. ჯერჯერობით გაფიცულია 26.000 მუშა. მაღაროებში სრულიად შეწყვეტილია მუშაობა. დომბროვის აუზში იმართება გაფიცულთა მასიური მიტინგები. მუშებში მხნე განწყობილებაა.

პოლონეთის მთავრობა მეტად შეფიქრიანებულია მდგომარეობის გამწვავებით და სცდილობს უმტკივნეულოდ ჩაიაქროს გაფიცვები.

## საბჭოთა კავშირში

### ლენინგრადის საგანგ. საგუბ. პარტ-კონფერენციის დახურვა

12 თებერვალს დაიხურა ლენინგრადის საგუბერნიო საგანგებო კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია მოხსენების გარშემო, რომელშიაც ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ ახალი საგუბერნიო კომიტეტი უზრუნველყოფს მჭიდრო კავშირს პარტიის ცეკასთან, რომლის მეოხებითაც მიდის ორგანიზაციის სწრაფი გამოჯანსაღება და რომლის ხელმძღვანელობითაც ლენინგრადის ორგანიზაცია კვლავ დაიკავებს კუთვნილ ადგილს ჩვენი სახელოვანი პარტიის რიგებში.

## საქართველოში

### საბჭოთა ხელახალი არჩევნები

#### თელავში

დამთავრდა ხელახალი არჩევნები წინანდალის რაიონში. ამომრჩეველთა აქტივობა 65 პროცენტს აღემატება. დიდი პროცენტი ქალებია. არჩეულთა შორის 30% პარტიულები და კომკავშირელებია და 15% ქალები. ყველგან გაიმარჯვა საშუალო შეძლებისა და ღარიბების კავშირმა. ბობოლების სიები ყველგან დამარცხდა.

დაიწყო არჩევნები ახმეტასა და პანკისის რაიონებში.

#### ახალქალაქში.

ხელახალი არჩევნები დაიწყო 10 თებერვალს და დასრულდება 14 მარტისთვის.

საარჩევნო კომისიების თათბირმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა ნება მიეცეთ გაატარონ ზოგიერთ სოფლებში (თურქების) კრებები მამაკაცთა და ქალთათვის ცალ-ცალკე.

#### ახალსენაკში

საარჩევნო კამპანია მაზრის ყველა თემებში დაიწყო 5 თებერვალს. გლეხთა და საბჭოების საერთო კრებებზე გლეხობა აძლევს „ნაკაზს“ (დარიგებებს) მომავალ საბჭოს.

### აღმშენებლობა ქუთაისში.

ქუთაისის კომუნალურ მეურნეობას მომავალ სეზონში განზრახული აქვს აგოს 15 ერთსართულიანი ხის სახლი, 5 ქვის ორსართულიანი სახლი, ერთი საწყობი, ერთი სახლი სოფელ ქვიტირში და სხვა.

### ყოფილ მენშევიკების ყრილობა

ახალსენაკში შესდგა ყოფილ მენშევიკების კრება. დაესწრო 45 კაცი. კრების დღის წესრიგში იყო: ყოფილ მენშევიკების დამოკიდებულების განსაზღვრა მომავალ საბჭოთა არჩევნებისადმი და აგრეთვე ემიგრანტების მდგომარეობის საკითხისადმი ევროპაში.

კრებამ დაადგინა ხელი შეუწყონ არჩევნებს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მასში კომუნისტურ ორგანიზაციებთან ერთად.

## აჭარისტანში

### ბოროტმოქმედება საგრძნობლად შემცირდა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობებით გასულ წელში ბოროტმოქმედებათა შემთხვევები აჭარისტანში შემცირდა 65 პროცენტით.

### დახმარება სასოფლო მეურნეობას

გასული წლის განმავლობაში აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მისცა გლეხებს საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით 480 ცალი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი ნისიათ.

# რევოლუციონური კანონიერების შესახებ.

(იხ. გაგრძელება 31 (1026) ნომერში).

საინტერესო და დამახასიათებელი ციფრები იყო ამ დღეებში გამოქვეყნებული გაზ. „ზარია-ვოსტოკაში", რომელიც ნათლად ადასტურებს საბჭოთა კანონიერების დარღვევას იმ მიზეზით, რომ ეს კანონიერება არ შეუსწავლიათ და არ იციან. ასე მაგალითად ს. ს. რ. კ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის 1925 წლის განმავლობაში სხვადასხვა გაზეთის რედაქციებს გადაუციათ 4.667 წერილი, იყო მოხდენილი კვლევა-ძიება 2443. ამ წერილთა რიცხვში 1.443—შემთხვევაში ავტორის მიერ წამოყენებული ბრალდებანი გამართლებულა.

კვლევა-ძიებათა განხლების შედეგად, პასუხისგებაში იქნა მიცემული: 2—მაზრის მილიციის უფროსი, 3—თემ-აღმასკომის თავმჯდომარე, 3—წევრი თემ-აღმასკომისა, 101—მდივანი, 242—სოფლის საბჭოთა თავმჯდომარე, 48— მდივანი სასოფლო საბჭოსი, 18—თავმჯდომარე და წევრები გლეხკომებისა. 32—უფროსი სათემო მილიციისა, და 105 მილიციონერი. ამ რიცხვიდან 168 კაცის წინააღმდეგ აღიძრა სასამართლოს წესით დევნა, 443 კაცი მოხსნილია თანამდებობიდან და 22 კაცს კი გამოეცხადა საყვედური—განკიცხვა.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? განა ყველა ეს ხალხი, რომელიც მსახურებდა საბჭოთა აპარატებში, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგობის ნიადაგზედ არღვევდენ საბჭოთა კანონიერებას? რასაკვირველია ამის თქმა არ შეიძლება. აშკარაა რომ აქ კანონიერება ირღვეოდა უმთავრესად არა განზრახ—არამედ ამ კანონების არ ცოდნით, უვიცობით.

ეს ციფრები ცხადია არ ამოსწურავს კანონიერების დამრღვევთა რაოდენობას—ვინ იცის რამდენი უკანონო მოქმედება იყო აღმოჩენილი მუშათა და გლეხთა ინსპექციის, პროკურატურის და სხვა ორგანიზაციების მიერ.

მაშასადამე ერთხელ კიდევ უნდა დავადასტუროთ, რომ საბჭოთა კანონიერების პოპულიარიზაცია ფართე მშრომელ მასსაში, მისი შესწავლა მშრომელი მასსის მიერ მოგვცემს იმ შედეგს, რომ საგრძნობლად შემცირდება კანონიერების დამრღვევთა რაოდენობა და ძალზედ იქნება გამტკიცებული ის.

თუ საერთოდ ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კანონმდებლობის შესწავლას და მის განმტკიცებას—უაღრესად მატულობს მისი მნიშვნელობა წითელ ჯარში. წითელი ჯარი ხომ მუშებისა და გლეხების წიაღიდან არის გამოსული, და მოწოდებულია დაიცვას მისი ინტერესები, როგორც შინაური ისე საგარეო შავი ძალებისაგან? და ჩვენი კანონმდებლობაც ხომ კლასიურია და იცავს მშრომელ ხალხის ინტერესებს? მაშასადამე წითელი ჯარი მოვალეა, რომ მედგრად იდგეს ამ კანონიერების დაცვა-განმტკიცების სადარაჯოზედ.

(შემდეგი იქნება)

დ. ხიხაძე.

# ს ა მ ხ ე დ რ ო  ს ა ქ მ ე.

## ქიმია ომში.

### ქიმიურ საშვალებათა ხმარება ავიაციის მიერ.

უკანასკნელ დროს მსოფლიო ომში ავიაციამ დაიწყო არა მარტო ჩვეულებრივი, გამანადგურებელი, არამედ მომწამლავ აირებით ავსებულ ქიმიური ბომბების ხმარებაც. მართალია ქიმიურ ბომბების ხმარება მეტად განსაზღვრულ შემთხვევებში ხდებოდა, ვინაიდან ეს ახალი საქმე იყო, მაგრამ აი ეხლა ყველა არმიებში დიდი ყურადღება ექცევა ავიაციისა და ქიმიის შეერთებულ მუშაობას, და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალ ომებში, ქიმიურ ბომბებით შეიარაღებული თვითმფრინავები გააფართოებენ ბომბებით თავდასხმას მნიშვნელოვან წერტებზე, როგორიცაა: რკინის გზის კვანძები, სამხედრო ფაბრიკები და ქარხნები, ხიდები, მოსახლეობიანი წერტები, საწყობები და სხვა ასეთები. ამრიგად დარღვეული იქნება ზურგის წესიერი მუშაობა, მაშასადამე მომქმედი არმია ვერ მიიღებს თავის დროზე დამხმარე ძალას, საბრძოლო მასალას, სურსათ—სანოვაგეს და საერთოდ ბრძოლისთვის საჭირო მასალას. თავისთავად გასაგებია, რომ ისეთი არმია, რომელსაც არ ექნება საშუალებანი ქიმიურ თავდასხმის წინააღმდეგ, ადვილად დაჰკარგავს ბრძოლის უნარიანობას.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქიმიური ბომბები არ მოითხოვენ მარჯვე მოხვედრას, ვინაიდან ჩამოგდებული ბომბი სწამლავს საკმაო დიდ მოედანს. ქიმიური ბომბის წონა უდრის 10—15 ფუთს, ხოლო მომწამლავ ნივთიერების წონა შეადგენს მთელი წონის ცოტათი ნახევარზე მეტს. ამ ჟამად არიან ისეთი მებომბე თვითმფრინავები, რომლებსაც შეუძლიათ ასწიონ ტვირთი 400 ფუთამდი.

მაგრამ გარდა ქიმიური ბომბებისა, ავიაციას შეუძლია გამოიყენოს ქიმიური თავდასხმის მეორე საშუალება—ეს არის მომწამლავ ნივთიერების (მაგ. იპრიტის) გაწვიმება. რასაკვირველია ასეთი შხამიანი წვიმა დიდ ზარალს მიაყენებს არამც თუ ჯარებს, არამედ მოსახლეობასაც.

აქედან ცხადია, რომ ყველა მნიშვნელოვანი წერტებში, ჯარების მოძრაობა, და მათი მოთავსება შენიღბული უნდა იქნას მოპირდაპირის ჰაეროპლანისაგან. შენიღბვას, ე. ი. მოპირდაპირის მოტყუილებას და მისგან დაფარვას დღეს დიდი მნიშვნელობა აქვ; მასთან ეს შენიღბვა ეხება არა მარტო ნაწილებს, არამედ ცალკე მეომრებსაც.

პ.

## ლაშქრული წესით მოძრაობა და დაცვის ზომები.

ჯარის ნაწილებს ომის დროს მოუხდება მოძრაობა მტრის მიმართულებით, კიდაროს გასწვრივ და უკან წამოსვლა თავის ნაწილების ზურგისკენ. ეს სამი მოძრაობა, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, შემდეგია: შეტევითი, ფრთებით და დახევა. ზემოაღნიშნულ მოძრაობის დროს ჯარის ნაწილი (მაგ. ლეგიონი) აგზავნის, როგორც მოპირდაპირის მიმართულებით, ისე ფრთებზე და ზურგში დამცველ ჯგუფებს, რომელთა ძალა დამოკიდებულია მათ გამგზავნ ნაწილის სიდიდესა და მოპირდაპირემდი არსებულ მანძილზე. თუ რომ მოძრაობს ლეგიონი და მის წინ იმყოფება მისივე ძლიერი ქვეითი ნაწილები ან და მოპირდაპირემდი მანძილი უდრის 50—დი კილომეტრს (კილომეტრი—დაახლოებით ვერსი), იმ შემთხვევაში ლეგიონი და ათასეული გზავნიან დამცველ ოცეულებს, ხოლო ასეულები-დამცველ ათეულებს. თუ რომ ლეგიონს წინ არ ჰყავს ძლიერი ქვეითა ნაწილები ან და მანძილი მოპირდაპირემდი ნაკლებია 50 კილომეტრზე, ლეგიონი გზავნის წინ 1 ათასეულამდი, ფრთებზე და ზურგში-ოცეულებს. თუ საჭიროება მოითხოვს ათასეულს ეძლევა საველე არტილერია. მცველი ათასეული გზავნის დამცველ ოცეულებს, ხოლო უკანასკნელი გამოჰყოფს თავის შემადგენლობიდან მოდარაჯე ათეულებს.

მოდარაჯე ათეულების რაოდენობა დამოკიდებულია ადგილ-მდებარეობაზე. მაგალითად: გაშლილ ადგილზე იგზავნება ნაკლები, სხვა შემთხვევაში-მეტი. მანძილი, რომელზედაც იგზავნება ათასეული, უდრის 3—5 კილომეტრს, ხოლო ათასეულსა და დამცველ ოცეულებს შორის—1—2 კილომეტრი. რაც შეეხება დამცველ ათეულის მანძილს ოცეულიდან, აქ საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნას დამცველ ათეულზე დაკისრებული ამოცანა. მათი მოვალეობაა დაიცვან გამგზავნი ოცეულები უეცარი ტყვიამფრქვევისა და შორი თოფის ცეცხლისაგან, ე. ი. 800 მეტრამდი. დამცველი ათეულები ადგილმდებარეობის დასათვალიერებლად გამოჰყოფენ წყვილ მზვერავებს, რომლებიც მოძრაობენ ისე, რომ შესაძლებელი იყოს მთელი ადგილმდებარეობის დათვალიერება და ერთმანეთთან არ გაწყვეტონ მხედველობითი კავშირი. ათეულიდან მზვერავები იმყოფებიან დაახლოებით 200—300 მეტრზე. მზვერავთა წინ, დაახლოებით 12—15 კილომეტრის მანძილზე მოძრაობენ მძიებლები, რომლებსაც გზავნის ლეგიონის უფროსი.

თუ რომ ლაშქრული მოძრაობა და დაცვის ზომები ამნაირად იქნება მოწყობილი, სანამ თავს დაესხმოდეს მტერი ჩვენს ჯარებს, ჯერ ის უნდა შეხვდეს მძიებლებს, შემდეგ მზვერავებს, დამცველ ათეულებს, ოცეულებს და ბოლოს ზურგის ან ფრთის ათასეულს, ხოლო ამ ხნის განმავლობაში მთავარი ძალები (ლეგიონი, დივიზია) უკვე მოემზადებიან საბრძოლოდ და შეხვდებიან მტერს.

ი. ბ.

**სამხკორებო! ახლოვდება საქართველოს გასაბჭოების 5 წლისა და წითელ არმიის 8 წლის თავი. გამოაგზავნეთ, რაც შეიძლება დაჩქარებით, კორესპონდენციები ამ დღესასწაულის შესახებ.**

# მოკლე ვადიანი შეკრება

(დასასრული)

(შეკრებათა შორის პერიოდში ტერნაწილების მუშაობის შესახებ)

### მოკლე ვადიან შეკრებათა ამოცანები

რაც შეეხება სამხედრო გამოცდილების განვითარების მეთოდებს, აქაც იგივე საერთო მიზეზები მოქმედებენ, რომლებიც ზემოდ გვქონდა აღნიშნული. მათდა საწინააღმდეგოდ წამოყენებულია მოკლე ვადიან შეკრებათა ჩატარების ამოცანა ოცეულების ან ასეულების შემადგენლობით. შეკრებები უნდა იყოს შვიდ დღიანი, ან ეს შვიდი დღე უნდა გაიყოს 2 ან 3 ვადად, 2-3 დღე თითო შეკრებაში. რამოდენადაც ზამთრის პერიოდი საგრძნობლად ზღუდავს სწავლების საქმეს, იმდენად მუშაობის საფუძველს აქ წარმოადგენს გასინჯვა, ცალკეული მომზადების და სროლის საქმის გაძლიერება, ანდა ცვალებად შემადგენლობისთვის—ცოდნათა გაღრმავება წესდების სფეროში და სასროლო-ტაქტიკურ მომზადებაში.

მოკლე ვადიან შეკრებათათვის პროგრამების შედგენის დროს თვითეულ დივიზიაში და თვითეულ ლეგიონში საჭიროა აღრიცხულ იქნას წარსულ შეკრებათა გამოცდილება და გამოყოფილ იქნას გასავლელად სწავლების მხოლოდ ის განყოფილებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოითხოვენ გაშუქებასა და საფუძვლიანად შესწავლას.

ცხადია, რომ მუშაობის ამ სავალდებულო სახის გარდა, გვაქვს კიდევ მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი ცვალებად შემადგენლობის მიმართ; ეს ღონისძიებანი ტარდება ნებაყოფლობითი საფუძველზე სამხედრო-სასწავლო წერტებზე, ქოხ-სამკითხველოებში, მუშათა კლუბებში, სამხედრო კუთხეებში. საერთო და პოლიტიკურ უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხები გადაიჭრება მეუნაწილოდ სახელდობრ მუშაობის ამ მხარეში.

### რა არის საჭირო მოკლე ვადიან შეკრებათა წარმატებით ჩატარებისთვის.

გადავდივართ რა შეკრებათა შორის მუშაობის ორგანიზაციაზე, პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ წარსული ცდები ნებას გვაძლევს ჩავთვალოთ ზამრთის ვადები უფრო ხელსაყრელად ცვალებად შემადგენლობის დიდი ნაწილისათვის, ე. ი. გლეხობისთვის. ამიტომ მუშაობის ვადების მხრივ, რამოდენიმე გამონაკლისს გარდა, მუშაობა უნდა ჩაითვალოს საკმაო უზრუნველყოფილად.

ის გარემოება, რომ მუშაობის ვადები ხვდება მეტ შემთხვევაში წვევამდე მომზადების შემდეგ შესვენების დასაწყისს, ხელს უწყობს მოსამზადებელი პერიოდის უზრუნველყოფას, ვინაიდან, სხვათა შორის, ამ დროს თავისუფალია სათანადო კადრი ამ მუშაობის ჩასატარებლად. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიზნით კადრის გამოყოფის საქმე ვერაა ყველგან და ყოველთვის დამაკმაყოფილებელი. თუ რომ ეს ხდება უკიდურეს მატერიალურ სიძნელეთა გამო, ხშირად ისეც ხდება, რომ ამ მხარეს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას და ეს იმ დროს, როცა თავისი უბნის ოცეულისა და ასეულის უზრუნველყოფა კადრით წარმოადგენს შეკრებათა შორის მუშაობის წარმატების ძირითად და აუცილებელ პირობას.

ამ მუშაობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა დროიანად მომზადება და გეგმის შემუშავება სასწავლო-პოლიტიკურ ამოცანებისა თვითეულ შეკრებისთვის. შაბლონი, ანუ მკვდარი ფორმა აქ არ გამოდგება. თუ ღრმად არ იქნება დამუშავებული სასწავლო-საორგანიზაციო გეგმა, უმჯობესია საქმე არ იქნას დაწყებული, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში „ჩიტზე ნადირობა შრომად არ ღირს". სამწუხაროდ არავის შეუძლია დაიკვეხოს მიღწევებით ამ სფეროში. ამ მხრივ მთავარი ყურადღება უნდა იქნას მიქცეული. უმჯობესია ცოტა და კარგი. უმჯობესია ჩატარებულ იქნას კარგად 2-3 დღიანი შეკრება, ვიდრე 6-7 დღიანი და ცუდად, ანუ სათანადოდ მოუწყობელი.

ცხადია, რომ ზამთრის პერიოდი, მასთან იმ პირობებში, როცა მოკლე ვადიანი შეკრებები ტარდება ცვალებად შემადგენლობის საცხოვრებელ ადგილებზე მოშორებით, როცა მათ არ ეძლევათ სახელმწიფოს მიერ კმაყოფა, ბინისა და კვების საკითხები განსაკუთრებულ სიძნელეებს ჰქმნიან მთელ რიგ რაიონებისთვის.

თუ რომ წვევამდე მომზადების სასწავლო წერტების დანაწილებით ეს წერტები ხვდება ასეულის წერტებს და ზოგიერთ შემთხვევებში ტერნაწილების შევსების ოცეულის უბნებს, იმ შემთხვევაში ეს საკითხები მეტ ნაწილად დადებითად იჭრება.

იქ, სადაც წესდების ასეთი შეუღლება კიდევ ვერაა მიღწეული, იბადება მთელი რიგი დაბრკოლებებისა და სიძნელეთა. მაგრამ, რასაკვირველია არ დანახვა იმის, რომ თვით წვევამდე მომზადების წერტები ბევრ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს დანიშნულებას,—არ შეიძლება. მაგრამ ტერიტორიალურ ჯარების რაიონების დიდი უმეტესობისათვის ამ დაბრკოლებათა გადალახვა შესაძლებელია, ხოლო რაც არ გაკეთებულა სასწავლო წერტების დაარსებისა და მოწყობის საქმეში, ეს უნდა გაკეთდეს უახლოეს 2—3 წლის განმავლობაში.

ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებელია ისე, თუ ადგილობრივი და სამოქალაქო ორგანიზაციები აქტიური დახმარებას არ გაუწევენ ამ საქმეს. აგრეთვე მთელ შეკრებათა შორის მუშაობა—შეკრებაზე მიზიდვის წესის განსაზღვრა, საერთო და პოლიტიკურ უცოდინარობის სალიკვიდაციო პროგრამის და სხვა და სხვა,—ყოველივე ამის გატარება შეიძლება მხოლოდ მჭიდრო კავშირში ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან. ამასთან მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი (გარდა წმინდა სამხედრო სწავლისა) ჩატარებულ უნდა იქნას სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების შეერთებულ ძალებით.

### შეკრებათა შორის მუშაობა და ქვეყნის გასამხედროება.

მოსახლეობის გასამხედროების საერთო ამოცანებთან დაკავშირებით შეკრებათა შორის მუშაობა ერთი უმთავრესი საშუალებათაგანია ამ საერთო ამოცანის გადასაჭრელად.

მუშაობის ეს მხარე სათანადოდ უნდა იქნას შეფასებული მით უმეტეს, რომ მოსახლეობის გასამხედროებაზე სოფლად უმთავრესად შეიძლება ტერნაწილების კადრების, შეკრებათა და სასწავლო წერტების საშუალებით.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ რომ მატერიალური დასაყრდნობი შეკრებათა შორის მუშაობისა მეტისმეტად მცირეა, რომ ბევრია დაბრკოლებანი და სიძნელენი შეკრებათა შორის მუშაობის გზაზე. მაგრამ ყოველივე ეს გვაიძულებს წავიდეთ არა მცირე წინააღმდეგობის ხაზით, არამედ გამოვნახოთ თანაბარ მომქმედი საშუალება, რომელიც აკმაყოფილებდეს ძირითად ამოცანას, რომელიც სდგას ტერიტორიალურ ჯარების წინაშე მათი მომზადების საქმეში აუცილებელ ომის ფრონტებისთვის.

ლ. მ—ი.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ.

ბევრმა ახლათ შემოსულმა პაარტიის წევრებმა არ იციან, თუ რა უფლებით სარგებლობენ ისინი.

იმათმა იციან მხოლოდ ის, რომ არიან პარტიის წევრები, აქვთ პარტიის მთლიანი მანდატები და სადაც და როგორც დასჭირდებათ ისე იყენებენ თავიანთ უფლებებს.

როდესაც პარტიის წევრი აძლევს რეკომენდაციას ისეთ პირს, რომელიც გაცნობილი ყავს მოკლე დროში, არ იცნობს მას კარგათ, არ იცის თუ გინდ მისი მოკლე დროის წარსული და სხვა, ამ შემთხვევაში რეკომენდაციის მიმცემი პასუხის მგებელია პარტიის წინაშე გაცემულ რეკომენდაციაზე.

თუ მოკლე დროის განმავლობაში რეკომენდაციის მიმღებს გამოაჩდა რაიმე უარყოფითი, ამ შემთხვევაში რეკომენდატორი აუცილებლად პასუხს აგებს პარტიის წინაშე.

ამიტომ პარტიის წევრმა კარგად უნდა იცოდეს და იცნობდეს თუ ვის აძლევს რეკომენდაციას, უნდა იცნობდეს მის მოკლე წარსულს და მის თანამედროვე მდგომარეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში რეკომენდაციის მიმცემი შეცდომაში შევა და პარტიის წინაშე ჩაიდენს დანაშაულს.

არის კიდევ სხვა სახის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი პარტიის წევრები, კერძო მოქალაქეებს აძლევენ სხვა და სხვა სარეკომენდაციო წერილებს და ზოგჯერ ხელს უწერენ ისეთ განცხადებებს, სადაც აღნიშნულია მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა და პირადი საიმედობა.

ამით პარტიის წევრები ერევიან ადმინისტრატიულ ფუნქციებში. ასეთ შინარსის მოწმობებს ყოველთვის იძლევიან სათანადო ადმინისტრატიული ორგანოები. პარტიის წევრებს არავითარი უფლება არა აქვთ დაუმოწმონ თავის პარტ-ბილეთის ნომრის დასმით, რომ ესა და ეს პირი ღარიბი და საიმედო პიროვნებაო.

ამიტომ პარტიის ყველა წევრებმა კარგად უნდა შეისწავლოს პარტიის წესდება, სადაც გარკვევით აღნიშნულია პარტწევრების უფლებები. პარტიის წევრს აქვს უფლება მისცეს რეკომენდაცია ისეთ პირებს, რომლებიც შედიან პარტიაში და არიან კეთილსაიმედონი. დანარჩენ შემთხვევაში რეკომენდაციების და სხვა სახის, დასტურის მიცემა პარტიის წევრის მიერ, ჩაითვლება უკანონოთ.

არის კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც პარტიის წევრს უხთება პარტიაში შემომსვლელის ავტობიოგრაფიის შემოწმება. აქ პარტიის წევრს აქვს უფლება, ავტობიოგრაფიის სინამდვილის გაცნობის შემდეგ, მასზე ხელის მოწერის, რის შემდეგ ნაწილის სამხკომი შეამოწმებს მის ხელის მოწერის სინამდვილეს. ამ შემთხვევაშიც პარტიის წევრი არ უნდა შევიდეს შეცდომაში და თუ კარგათ არ იცნობს ავტობიოგრაფიის დამწერს, არ იცის ნამდვილი მისი მდგომარეობა არ უნდა მოუწეროს ხელი.

წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი პირი პასუხს აგებს პარტიის წინაშე.

ჩვენს სინამდვილეში ყოფილა შემთხვევები (ცხენოსანი ლეგიონი), სადაც სრულიად უცნობი მხრიდგან მოსულ ამხანაგის ავტობიოგრაფიას ადასტურებს სულ სხვა მხრის მცხოვრები ამხანაგი.

ასეთს შემთხვევებს და გაუგებრობას შემდეგში არამც და არამც ადგილი არ უნდა ექნეს.

მაშ ამხანაგებო! კარგად დაუკვირდით რეკომენდაციის გაცემას. კარგად უნდა იცოდეთ ვის აძლევთ ასეთს, პარტიაში შემოსასვლელად.

ს. ლომიძე.

## ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮ. Ლ. Კ. Კ. ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ.

მეთაურთა სკოლაში პარტიული მუშაობა ძლიერ გამოცხოველდა. აქ აშკარად სჩანს ნამდვილი საქმიანი მუშაობა და მისგან გამომდინარე მრავალი მიღწევები.

პირველ და უმთავრეს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს, კომუნისტური კავშირის თვისობრივათ და რიცხვობრივათ ზრდა, რომლის ორგანიზაციაც ჩვენთან აერთიანებს 350 კავშირის წევრს.

ორგანიზაციაზე ხელმძღვანელობას შესაფერად ასრულებს სკოლის პარტორგანიზაცია, კიდევ მეტი, პარტიამ ხელმძღვანელობა პირველ ამოცანად დაისახა თავის პრაქტიკულ მუშაობაში.

თვით პარტიულ ორგანიზაციაში დიდი ყურადღება ექცეოდა პარტაღმზრდელობას წევრებს შორის, რამაც შესაფერი ნაყოფი გამოიღო და გაღრმავდა პარტმუშაობა.

**პარტიული და ახკომკავშირის განათლების საქმე.**

სკოლაში არსებობს ორი ჯგუფი: პარტიული და 12-ტი ახკომკავშირელთა ჯგუფები. ყოველ ჯგუფს ყავს სათანადო ხელმძღვანელები, რომლებიც ატარებენ მეცადინეობას სისტემატიურად და არა ისე, როგორც ეს იყო წარსულ წელში, როდესაც მეცადინეობა იყო საღამოობით და არავითარი კავშირი არ ჰქონდა სამოსწავლო საათებთან და სხვა. ყველაზე უფრო საინტერესოა ამ სკოლებში უპარტიო ამხანაგებისაგან აქტიური მონაწილეობის მიღება მეცადინეობაში. ასე რომ მიღწევები წარსულ წელთან შედარებით, თვალსაჩინოა.

**პარტიული გამომცემლობა.**

პარტიული გამომცემლობის სახით, სკოლაში გამოდის ყოველ თვიური ჟურნალი „მებრძოლის ხმა“, რომელშიაც შუქდება ყველა ის საკითხები, რომლებიც მომწიფებულია სკოლის მასშტაბით.

ვ. ბერიძე.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲠᲝᲚᲐ

(მე-4 ლეგსქოლის ცხოვრებიდან).

7 თებერვალს ჩვენი სკოლა მოეწყო 1-ლ სროლისათვის. კურსანტების სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ყველას აინტერესებდა თვისი ბედის გამოცდა სროლაში.

სროლის წინ კურსანტები ათვალიერებდენ მისროლის ფურცლებს და იგონებდენ თუ როგორ გააქვს მის თოფს გული. სროლა დაიწყო ათ საათზე და გაგრძელდა 12 საათამდის. სროლის შემდეგ ფარების დათვალიერების დროს, თვითეული კურსანტი მხედრულად მიმართავდა სკოლის უფროსს პატაკით, რამაც დაარწმუნა სკოლის უფროსი, რომ მისს ენერგიულ მუშაობას არ ჩაუვლია უნაყოფოდ. სკოლის უფროსი ღიმილით მიმართავდა მსროლელებს: „ყოჩაღ, ყოჩაღ“-ო და იმედს გამოსთქვამდა რომ უფრო კარგათ შეითვისებენ მომავალში სროლის საქმეს.

კურ. სამხკორი აბაშელი.

## ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠ „ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲫᲕᲠᲔᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝᲓ.

გაზეთ „წითელ არმიელის“ № 27 მოთავსებულია კორესპონდენცია ვინმე კორესპონდენტი „მიწის მძვრელის“, სადაც ის წერს თითქოს ცხენოსან ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლის წითელ არმიელების მეორე მწყობრში არ იყოს დანიშნული ჯგუფის ხელმძღვანელი და არ იცნობდენ მას წითელ არმიელები.

არ ვიცი, რამ აიძულა კორესპონდენტი „მიწის მძვრელი“ რომ არასწორი ინფორმაცია მიეწოდებია მკითხველისათვის საქმე შემდეგშია:

ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლის წითელ არმიელები საერთოდ განაწილებულია ესკადრონებზე, ვინაიდან სკოლის შენობის შეკეთების გათავებამდე შეუძლებელია მათი ცალკე მეცადინეობა (შენობა არ არის)—და მანამდე ე. ი. სანამ სკოლა გადავიდოდეს ახალ შენობაში, მეორე მწყობრში, რომელიც მიმაგრებულია მეორე ესკადრონზე დანიშნული ჯგუფის ხელმძღვანელად ამხ. შინჯიაშვილი, რომელიც სისტემატიურად ამეცადინებდა წითელ არმიელებს, მაგრამ შინჯიაშვილის მოკლევადიან შვებულებაში დათხოვნის შემდეგ ამეცადინებდა უფ. მასწავლებელი ამხ. დვალი და მერმე კი დანიშნულ იქნა ამხ. ჩახაია, ლეგიონის კომკავშირის ორგანიზატორათ.

ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ წითელ არმიელები გამცდარიყვენ მეცადინეობას და მეორე ესკადრონის პოლიტხელს მიემართოს ვინმესთვის თხოვნით, რომ ემეცადინებია მეორე მწყობრის წითელ არმიელები და არც იყო ის ვალდებული და პასუხის მგებელი, ვინაიდან ლეგიონში არის მეთოდიური ბიურო, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფებში სისტემატიურად მეცადინეობისათვის და აგრეთვე ის ანაწილებს ჯგუფის ხელმძღვანელებსაც.

არ ვიცი საიდან მოიგონა ამხ. „მიწის მძვრელმა“ ეს და რისთვის დასჭირდა.

იმედია შემდეგში მაინც არ დაუშვებს ასეთ სიყალბეს.

ვ. ფიფია.

## ᲛᲝᲕᲡᲞᲔᲗ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲣᲪᲝᲓᲘᲜᲐᲠᲝᲑᲐ.

4-ე ლეგ. სკოლა.

სამი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენს ლეგიონში თავი მოიყარეს მუშურ-გლეხურმა ახალგაზრდობამ. სკოლის შევსებისთანავე მოხდა მცოდნე და უცოდინარ წითელ არმიელების აღრიცხვა. შესდგა სამი ჯგუფი: კარგად მცოდნე, მცირე მცოდნეთა და უცოდინართა. კომუჯრედის თაოსნობით გამოყოფილი იქნენ წერა კითხვის კარგად მცოდნეთის თავები და თითეულ ჯგუფზე მიამაგრა ხუთი-ხუთი ამხანაგი ხელმძღვანელ ბად. ამ ცდებმა საკმაოდ კარგი ნაყოფი გამოიღო. დღეს ისეთი კურსანტი არ არის სკოლაში, რომელმაც არ იცოდეს წერა-კითხვა და რომელსაც არ შეეძლოს წერილის წერა სკოლის ცხოვრების შესახებ და სხვა.

ხშირად ტარდება სკოლაში აგრეთვე პოლიტლოტარეია, რაც დიდ ინტერესს იწვევს კურსანტებში. სკოლაში 50 ამხანაგამდე ახკომკავშირელი ითვლება. ისინიც დიდი ენერგიით ეკიდებიან სწავლა-განათლებას. დაარსდა პოლიტსკოლა, მაგრამ ჯერ ერთი მეცადინეობის მეტი არ გვქონია. იმედია ესეც მოგვარდება და პროგრამის მიხედვით იწარმოებს მუშაობა.

სამხკორი ე. ჯულაყიძე.

## ᲓᲐᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲘᲗ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ.

მე-2-ე ლეგიონის მე-2-ე ათასეული.

ათასეულიდან გამოყოფილი საკავშირო კომისია შეუდგა თავის მუშაობას. მან მიზნათ დაისახა სხვა და სხვა სოფლებთან კავშირის გაბმა. ერთ-ერთ საშეფო თემად არჩეული იქნა ძიმითის თემი (გურია).

6 თებერვალს ათასეულის წ. არმიელთა და უფ. პოლიტ-შემადგენლობის ნაწილი გაემგზავრა ძიმითის თემში შაფათობას ჩასატარებლად.

გზადაგზა წ. არმიელებს აცნობდენ იმ შესანიშნავ ადგილებს, რომელიც მათ მხოლოდ გაეგონათ. მაგ. ნასაკირალი, სადაც 1905 წელს არსებულ მთავრობის მოწინააღმდეგე გურიის გლეხობამ, რამოდენიმე ათეული ნიკოლოზის ერთგული ყაზახობა ჩაქოლა ქვებით და „ცენტრალკებით“. წ. არმიელებს მეტად აინტერესებდა ყველა ასეთი ადგილების ნახვა.

სოფელში წ. არმიელების მისვლამდე თავი მოეყარა გლეხობას, ქალებს, ბავშვებს და ელოდებოდენ სტუმრების შეხვედრას. მისვლისთანავე მოხდა მჭიდროდ დაახლოება და გაეცნენ ერთმანეთის საქმიანობას. საღამოზე ათასეულთან არსებულმა დრამ-წრემ გამართა გლეხობისათვის უფასო წარმოდგენა. დადგმული იქნა „შენი ჭირიმე“ და „ოთხი იმერელი“, რომელსაც დაესწრენ 250-მდე ადგილობრივი სოფლელები. ისინი მეტის-მეტად ნასიამოვნები იყვნენ ჩვენი მისვლით და გაიძახოდენ:

„ძველი ჯარის კაცის დანახვა შიშს მგვრიდა და ცხლა რას მოვესწარით, რომ ჩვენივე სოფელში მოსული წითელ არმიელები გვეხმარებიან კულტურულ საქმიანობას მოწესრიგებაშიო“.

მე-2-რე დღეს გლეხებთან ერთად წ. არმიელებმა მოასუფთავეს ალმასკომის და 4 ხ წლედის ეზოები, რომლებიც ჩირქვებით და ხის ძირებით იყო გავსილი. საათის 3-ზე კი ნასიამოვნები დავბრუნდით ჩვენს ყაზარმაში.

შეფობა ერთად ერთი საუკეთესო საშუალებაა სოფ. გლეხობასა და წ. არმიელების კავშირის გასამტკიცებლად, რომელსაც უფრო მეტი და სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

სამხკორი ელისო.

## ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲮᲚᲓᲐ.

3-ე ლეგიონის 7-ე ასეული.

მე-7 ასეულში პოლიტ-სამხედრო მეცადინეობა კარგად მიმდინარეობს. მეთაურები ენერგიულად ასრულებენ თავის მოვალეობს წითელ არმიელებს წინაშე.

წითელ არმიელები გულმოდგინეთ ასრულებენ მეთაურების განკარგულებებს. არ ყოფილა დისციპლინის დარღვევის ერთი შემთხვევაც კი. ასეულში ჩამოყალიბებულია სხვა და სხვა უჯრედები, როგორიც არის: ავიოქიმის, რემედასის და წერკუმსის.

ხშირად ეწყობა ასეულში შეჯიბრი კითხვა-პასუხში და ლიტერატურული გასამართლებები, რომლებსაც დიდი ინტერესით ეკიდებიან ამხანაგები. აქტიური ამხანაგები ატარებენ ლენინურთხეში ხმამაღალ კითხვას და სხვა.

საზოგადოთ ასეული ძლიერ გამოცოცხლებულია და ჩქარა შესაფერ განვითარებას მივიღებთ.

სამხკორი სამხარაძე.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ.

3-ე ლეგიონი.

ლეგკლუბის მუშაობა შესაფერ სიმაღლეზე სდგას. ჩამოყალიბებულია სხვა და სხვა წრეები, რომლებიც განაგრძობენ თავიანთ მუშაობას სისტემატიურად.

კლუბში არსებობს სხვა და სხვა გასართობები, რომლითაც თავისუფალ დროს სარგებლობენ წითელ არმიელები. ყოველ კვირაში იმართება წარმოდგენები, რითაც წითელ არმიელების გარდა სარგებლობენ კერძო მოქალაქენიც. მაგრამ ერთი ნაკლი მაინც აქვს ჩვენ კლუბს.

ეს იმაში გამოიხატება, რომ ლიტერატურული წრე არსებობს ფორმალურად, საქმით კი მიძინებულია. საჭიროა მათი გამოფხიზლება და ჩაბმა მუშაობაში, რომ მოგვიწყოს სხვა და სხვა ლიტერატურული გასამართლებები, რაც მეტად აინტერესებს წითელ არმიელებს.

სამხკორი ნ. კალანდაძე.

## ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ.

5-ე ლეგიონი.

უკანასკნელ ხანებში ლეგიონის მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კვების საქმე, რომელიც საუცხოვოთ იქნა მოგვარებული. გვაქვს საერთო სასადილო. თითეული წითელ არმიელისათვის ცალკე არის თეფშები. სამზარეულოშიც კარგად არის დაცული ჰიგიენური პირობები.

სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა სისტემატიურად მიდინარეობს. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სკოლის გარეშე განათლების საქმეს. ჩამოყალიბებულია მრავალი წრეები, სადაც გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს.

კარგი იქნება მხოლოდ თუ ლეგიონის ძესვეურები იზრუნებენ მეთაურთა შემადგენლობისათვის ცალკე სასადილოს გახსნას. ასეთები არსებობს სხვა ლეგიონებში და არც ჩვენი ნაწილი უნდა ჩამორჩეს სხვებს.

სამხკორი ალ. კიწავა.

# საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში.

**ტფილისის მაზრა.**

ტფილისის მაზრაში თემის საბჭოების პირველი სხდომები და სათემო აღმასკომების არჩევნები მოხდება:

14 თებერვალს—მარტყოფში დიღომში და მანგლისში.

21 თებერვალს—პრიუტში.

28 თებერვალს—საგარეჯოსა და კოჯორში.

**დუშეთის მაზრა.**

ნატახტრის თემი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 53 პროც.

არჩეულია საბჭოში 20 კაცი. აქედან ქალი—2, კომპარტიის წევრი—2, კანდიდატი—5, კომკავშირელი—9, უპარტიო—4.

**ქუთაისის მაზრა.**

მაზრის ყველა სათემო აღმასკომებში და აგრეთვე ხონისა და სამტრედიის აღმასკომებმა უკვე ჩაატარეს საარჩევნო წინასწარი კომპანია, ყრილობები ჩატარდა 9 თემში. მაზრა დაყოფილია 323 საარჩევნო უბნად. უბნებს დაეგზავნა საარჩევნო ლიტერატურა და სხვა მასალები. არჩევნები დაიწყება ამ დღეებში.

**ზუგდიდის მაზრაში.**

მაზრა დაყოფილია 176 საარჩევნო პუნქტათ.

არჩევნები დაიწყებოდა დღეს 14 თებერვალს და დასრულდება 7 მარტს. 15 მარტს მოხდება საბჭოთა სამაზრო ყრილობა.

წინასწარი მუშაობა ყველა სოფლებში წარმატებით ჩატარდა.

**ახალქალაქის მაზრაში.**

სათემო აღმასკომებმა ყველა თემებში ჩაიბარეს ანგარიშები ამომრჩევლებს. გლეხობა დიდის ინტერესით ეპყრობოდა ანგარიშების ჩაბარებას.

მაზრა დაყოფილია 134 საარჩევნო უბნათ. ზოგიერთი სოფლები დაყოფილია რამოდენიმე საანგარიშო პუნქტათ.

არჩევნები დაიწყო 10 თებერვალს. შედეგების შესახებ ჯერ ცნობები არაა მიღებული.

**სენაკის მაზრაში.**

სენაკის მაზრა დაყოფილია 15 საარჩევნო უბნათ.

2 თებერვალს მოწვეულ იქნა თემაღმასკომებისა და სათემო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი არჩევნების ჩატარების წესის გამომუშავების შესახებ.

არჩევნები დაიწყება 1 მარტს.

# მისაბაძი მაგალითი.

1-ლი საკავშირო ასეული.

ჩვენი ასეულის წითელი არმიელები დიდათ არიან დაინტერესებული ლენინის კუთხითა და სამკითხველოთი და გულმოდგინეთ მეცადინეობენ პოლიტიკურად. ერც ერთი წითელი არმიელი არ არის დარჩენილი, რომ გამოწერილი არ ჰქონდეს გაზეთი. ხშირად იმართება ლენკუთხეში გასამართლებები და საუბრები.

საჭიროა სხვა ნაწილებმაც მიბაძონ ჩვენს ასეულს და მსგავსად იმისა ყველა წითელ არმიელებმა გამოიწერონ გაზ. „წითელი—არმიელი“ და ხელი მოჰკიდონ ენერგიულად მეცადინეობას.

წ. არმ. პ. ხომასურიძე.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

**მოგვეცით ქართული ლიტერატურა.**

**ტფ. სამხედრო ჰოსპიტალის სამხკომის საყურადღებოთ.**

ჰოსპიტალის ბიბლიოთეკაში ბლომად მოიპოება რუსული ლიტერატურა, მაგრამ ქართული წიგნები სავსებით არ არის. არა თუ ჩვეულებრივი, არამედ პარტიული ხასიათის ლიტერატურაც არ იშოვება ქართულად, მოთხოვნილება კი დიდია. ქართველი წითელარმიელები, რომლებმაც სრულიად არ იციან რუსული ენა, მოკლებული არიან საშვალებას რაიმე წაიკითხონ და ტყვილა არ დაკარგონ დრო.

კარგი იქნება სამხედრო კომისარი შესაფერ ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას და მიიღებდეს ზომებს.

სამხკორი ავადმყოფი.

**საჭიროა ყურადღება.**

მე-5 ლეგ. მე-9 ასეული.

ლეგიონის მე-9 ასეულის სადგომი ბინა საჭიროებს დიდ შეკეთებას. ამის შესახებ მივმართეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქცია. შენობაში მოთავსებულია აგრეთვე ასეულის ყოველგვარი ნივთები. შენობის კედელი ძლიერ დაზიანებულია.

დროა ვისგანაც ჯერ არს შესაფერი ყურადღება მიექცეს ამ საქმეს.

სამხკორი დ. ჰაგჰანიძე.

**გაგვითბეთ სასადილოები.**

მე-2 ლეგიონი.

ლეგიონში მოგვიწყვეს მშვენიერი სასადილოები, მაგრამ სამწუხაროდ არ ათბობენ და სიცივეში გვიხდება შევექცეთ სადილებს. შემდეგ რაც უმთავრესია სადილისათვის მივყევართ ქუდმოხდილები და სიცივე ამის გამო უფრო საგრძნობი ხდება. სასადილოს გამგეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და რაც შეიძლება მალე მიიღოს ზომები სასადილოს გასათბობათ.

სამხკორი ჰიათურელი.

# კიდევ ერთი ახალი ქარხანა.

დღეს, ყარაიაზში გაიხსნება ბამბის საწმენდი ახალი ქარხანა. ეს ქარხანა, რომელიც ეკუთვნის საქართველოს მებამბეობის კომიტეტს უნდა გახსნილიყო დღემდე, მაგრამ მანქანების მიღების დაგვიანებამ დააგვიანა ქარხნის მოწყობაც.

ქარხანა საკმაო ხნითაა მომარაგებული ნედლი მასალით. იქ უკვე მიტანილია 42 ათასი ფუთი ბამბა და გადაწყვეტილია კვლავ შეიძინონ 16 ათასი ფუთი.

ქარხანაში პირველ ხანებში იმუშავებს 50 მუშა.

ქარხნის გახსნას დღეს დაესწრებიან ტფილისიდან პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოების წარმომადგენლნი.

აღნიშნული ქარხნის გახსნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მრეწველობის აღორძინების საქმეში.

დ.

# უცხოეთის არმიებში

## 11.419 მსხვერპლი.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში სახედრო ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის დროს გუი-დემონჟემ განაცხადა, რომ ფრანგი ჯარის კაცები უკიდურეს მდგომარეობას განიცდიან მაროკოს ფრონტზე.

მან სთქვა: „ჯარის კაცები ჩაცმული არიან ტილოს ტან საცმელში და ასეთ პირობებში უხდებათ მათ თოვლზე გაშლილ კარვებში ცხოვრება. აჰმევენ მათ აგრეთვე ძლიერ ცუდათ. ვაჭრები უსინდისოთ ყვლეფენ მათ. თამბაქო არ ეძლევათ ჯარისკაცებს და იძულებული არიან სისხლის ფასად იყიდონ ის“.

სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ დეპუტატ გუი-დემონჟეის განცხადება სამწუხაროთ მართალია, მაგრამ მთავრობას ამაზე უკვე მიიღო შესაფერი ზომები.

დეპუტატთა პალატის ამავე სხდომაზე კომუნისტ დეპუტატმა ვაიან-კუტიურემ მოითხოვა მაროკოში დაკარგულ ჯარისკაცების რიცხვი 1925 წ. ივლისიდან ამავე წლის 20 დეკემბრამდე.

სახელმწიფო მდივან ოსოლომ მოიყვანა ამის შესახებ შემდეგი ციფრები:

**მოკლულია:** 140 ოფიცერი 2500 ჯარისკაცი, რომელთაგან 780 ფრანგია, **დაჭრილია:** 259 ოფიცერი, 7300 ჯარისკაცი, რომელთაგან 1800 ფრანგია. **დაკარგული არიან:** 20 ოფიცერი, 1200 ჯარისკაცი, რომელთაგან 225 ფრანგია.

ამნაირად აღნიშნული მსხვერპლიდან მხოლოდ ერთი ნაწილია ფრანგები. ვინ არიან სხვები? ესენი ადგილობრივი მცხოვრებლებია, რომლებიც იბრძვიან საფრანგეთის ჯარებში, რომლებიც მოტყუებული იქნენ საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ და იბრძვიან თავისივე ძმების—რიფების წინააღმდეგ.

# ამბები სოფლებიდან

დუშეთის სამაზრო გლეხკომმა დახმარება აღმოუჩინა 241 ღარიბი გლეხისათვის.

ზემო-სვანეთში ამჟამად გახსნილია 15 წერა-კითხვის შესასწავლი პუნქტი.

ახალქალაქის აღმასკომი შეუდგა აღმასკომის შენობის შეკეთებას.

**წყალსადენი ჭრებალოში.** დაბა ჭრებალოს (რაჭა-ლეჩხ. საზღვარზე) მცხოვრებლებმა დაადგინა გამოიყვანონ დაბაში წყალსადენი.

# ახალი ამბები.

— **წყალსადენი საბურთალოზე.** ამჟამად საბურთალოზე სწარმოებს მუშაობა წყალსადენის გასაყვანათ.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის** მუშფაკზე წელს ირიცხება 1432 მსმენელი.

— **ტფილ. აღმასკომმა** გადასდო 20 ათასი მანეთი საბჭოთა ქუჩის შესაკეთებლათ.

— **საქართველოში** ამჟამად ითვლება 54 საბავშო სახლი.

— **ქალაქის ტელეფონების** ყოველთვიური შემოსავალი უდრის 33.533 მანეთს.

# პასუხი შეკითხვებზე.

**აჭარელ № 5.** თქვენი შეკითხვის შესახებ მიმართედ თქვენს სამხკომს, რომლისაგან მიიღებთ პასუხს.

**გიგაშვილს.** დათხოვნილი იქნებით მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

**ლომთაძეს.** თითეულ კვადრატიულ არშინში უნდა იხადოთ 5 ნახევ რი კაპეიკი.

**ბუჩუკურს.** „ბოეცი-“ს საბუღალტერიო კურსები არის ლენინის ქუჩაზე, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

**მსურველს.** წ. ა. თავისი უფროსის ნებართვით შეუძლია იაროს საბუღალტერიო კურსებზე. წ. ა. უფასოდაა „ბოეცი-“ს საბუღალტერიო კურსებზე მეცადინეობა.

**ბასილაშვილს.** სამხ. სამსახურის გათავების შემდეგ შეგიძლიათ სწავლის გაგრძელება, პირველ რიგში უნდა იქნეთ მიღებული სასწავლებელში.

**ბახტურიძეს.** ხე-ტყე, როგორც წ. ა. უნდა მოგეცეთ დაკლებულ ფასებში 25 პროც.—75 პროც.-ით. (ბრძანება რევსამხსაბჭოსი № 1520).

**№—1.** მაზარას გადაკეთება არ შეგიძლიათ.

# ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხანაგ ჯანაშვილის გამოწვევისა ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს“ ორი თვით სოფელ რუს-პირის ქოხ-სამკითხველოსათვის (თელავის მაზრა) და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს ცხენოსანი ლეგიონიდან:

კ. კავშირის ლეგ-ორგანიზატორს, ამხ. ჩახაიას, ამხ. მალაქია კუკოევს, თვალავაძეს, არველაძეს, ჩხარტიშვილს, ვანო კობიაშვილს, ილო სუხიტაშვილს და შალვა მარგველაშვილს.

თელავის მაზრის სამხედრო კომისარს ამხ. სოსო ხუციშვილს, საადგილ-მამულო განყოფილების გამგეს ისაკ თანდილაშვილს, სამაზრო კომიტეტის მდივანს ამხ. გარსევანიშვილს სამაზრო კომის. ინსტრუქტორს ამხ. შაქრო ჩხუბიანისშვილს და რუისპირის ქოხ-სამკითხველოს გამგეს სევ. ხუციშვილს.

ვიმედოვნებ ზემო აღნიშნული ამხანაგები გამოიწერენ გაზ. „წითელ არმიელს“.

ვანო ფეიქრიშვილი.

**ბუქისციხელს.** უმცროსი გადამწერები წ. ა. შემადგენლობას ეკუთვნიან.

**ვერდეთ.** ათის თავი თქვენი უფროსია.

**კურსანტს.** ტარება და შენახვა საკუთარ იარაღისა სამხ. სკოლების კურსანტებისთვის აღკრძალულია.

**ბათუმელს.** თანახმად სავალდებულო სამხ. სამსახურის კანონის 37 მუხ. ციხეში გატარებული დრო ნამდვილ სამსახურათ არ გეთვლებათ.

**სენაკელს.** თქვენი საქმის შესახებ მიმართედ მაზრის პროკურორს.

**ათეულის თავს.** როგორც ცოლშვილიანს, შეგიძლიათ კერძო ბინაზე ცხოვრება, მხოლოდ თქვენი უფროსის ნებართვით.

**ვ. ა.** მოკლე ვადიანი შვებულება არ გეკუთვნით, ვინაიდან ერთი წელი არ გიმსახურიათ.

**გ—ძეს.** ზედმეტ მსახურათ დარჩენის შესახებ შეგიძლიათ აღძრათ შუამდგომლობა (ბრძანება № 990--25 წ.)

**ვანიძეს.** თქვენი წერილის მიხედვით მეორე საფეხურის სკოლის კურს დამთავრებულის უფლებებით სარგებლობა არ შეგიძლიათ.

**სკობელს.** მიწის ყიდვა ან გაყიდვა აკრძალულია.

# სარეკომენდაციო სია.

**(1-ლ საფეხურის პოლიტ-სკოლების საუბრებისათვის)**

**1-ლი საუბარი.**

1) ლ. მ. კ. როგორ არის აგებული რ. კ. პ. ტ. საქ. კომპ. ც. კ—ტის 1926 წ. (1, 2, 3, 4 და 5 თავები)

2) საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობის რეზოლიუციები. ტ. ზაკკნიგა 1926.

3) გვაზავა, დ. და გორდელაძე, კ. პოლიტცოდნა წ. ტ. „წერკუმსი“ 1925 (გვ. 3—17)

4) Станчинский. политграмота (стр. 8-ой)

**საუბარი მე-2-რე**

1) ლ. მ. კ. როგორ არის აგებული რ. კ. პ. საქ. კომპ. ც. კ—ტის 1924 (თავი 2 და 7)

2) გვაზავა, დ. და გორდელაძე, კ. პოლიტცოდნა ტ. „წერკუმს“ 1925.

3) ლენინი, ვ. სახელმწიფო და რევოლიუცია ტ. 1918.

4) Бухарин, Н. путь к социализму и рабоче-крестьянский союз. (ст. 6—19)

პარტსკოლების ხელმძღვანელების საყურადღებოთ!.

1-ლი საფეხურის პარტსკოლების პროგრამის მე-2-რე საუბარის შეცდომით აწერია: „რ. კ. პ. კომუნისტური პარტიის ავანგარდია“ უნდა იყოს: „რ. კ. პ. პროლეტარული რევოლიუციის ავანგარდია“.

საბიბლიოგრაფიო ბიურო.

**გამოვიდა ახალი წიგნები**

**საკავშირო კომპარტიის მე XIV ყრილობის შესახებ.**

1. **სტალინი.** საკავშ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში მე-XIV ყრილობაზე, „ზაკკნიგა“ 1926 წ. ფასი 60 კაპ. ქ. თბილისი.
2. საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-XIV ყრილობის რეზოლიუციები (ქართულ ენაზე). „ზაკკნიგა“. ფასი 35 კაპ.

**პ ო ლ ი ტ - ც ო დ ნ ა.**

1. **გვაზავა და გორდელაძე.** პოლიტ-ცოდნა, „წერკუმსის“ გამოცემა, 1925 წ., 1,80 კაპ.

**მხატვრული ლიტერატურა.**

1. **ა. წერეთელი.** რჩეული ნაწერები, ტომი I-ლი, სახელგამი, 1925 წ., ფასი 2—50 კაპ.

**დაიკარგა** სამხედრო აღრიცხვის მოწმობა განთავისუფლების შესახებ 1-ლ ქართ. ფეხოსნის ცალკე საკავშირო ასეულიდან გაცემული იროდიონ სოლომონის ძე ბოჭორიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.